



## სსკგ-ს თავმჯდომარემ ალბანეთის ეკლესიის მეთაურს ინტრონიზაციის დღე მიულოცა



მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს ანასტასის, ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმთავრო კათედრაზე ასვლის 29-ე წლისთავი მიულოცა. მისალოც წერილში ნათქვამია:

თქვენო უნეტარესობავ!

ალბანეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო საყდარზე თქვენი ასვლის 29-ე წლისთავის დღეს გულითადად გილოცავთ ამ მნიშვნელოვან მოვლენას!

ბაძავდით რა ქრისტეს ერთგულ მონაფეებს, იზარდებოდით სიტყვთა სარწმუნოებისაჲთა და კეთილითა მოძღურებითა (1 ტიმ. 4:6), თქვენ ადასრულებთ თქვენს მსახურებას ქრისტეს ეკლესიის კეთილალმუნებისთვის ალბანეთის უძველეს მინაზე ყოვლითა ღმრთის მსახურებითა და სინმიდითა (1 ტიმ. 2:2), ასწავლიდით ერთგულებს ღმერთის განდიდებასა და მადლიერებას, რომელმან-იგი მრავლითა მით წყალობითა თუსითა კუალად გუშვნა ჩუენ სასოებად ცხოველად აღდგომითა იესუ ქრისტესითა მკუდრეთით (1 პეტრ. 1: 3). ყოვლისმპყრობელმა უფალმა, რომელმაც თქვენ ეკლესიის ხომალდის

საჭესთან დაგადგინათ, დაე განამრავლოს და განამშვენოს თქვენი სამღვდელთმთავრო წლები და დაგიცვათ თქვენ კეთილჯანმრთელობაში, სიმშვიდესა და კეთილდღეობაში.

ვუსურვებ თქვენს უნეტარესობას სულიერი და ხორციელი ძალების სიმტკიცეს, უხვ სულიერ სიკეთეებსა და ღვთის მოუკლებელ შენევნას ალბანეთის წმინდა მართლმადიდებლობის საკეთილდღეოდ მსახურებაში.

უფლისმიერი პატივისცემითი სიყვარულით,

**მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო**

**კავშირების განყოფილების თავმჯდომარე**

**ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი**